


**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აგროლაინი“**

შპს აგროლაინი
კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	08.08.2024-31.12.2024
შემოსავალი რეალიზაციიდან	3	4 264 803
გაყიდული საქონელის თვითღირებულება	4	(938 882)
მთლიანი მოგება		3 325 921
მიწოდების ხარჯები		(85 923)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	5	(2 333 605)
სხვა საოპერაციო შემოსავალი		142 944
სხვა საოპერაციო ხარჯი		(91 169)
საოპერაციო მოგება		958 167
ფინანსური შემოსავალი		2 362
ფინანსური ხარჯი	6	(1 019 263)
მოგება დაბეგვრამდე		(58 734)
მოგების გადასახადი		-
წმინდა მოგება		(58 734)
ზარალი შვილობილი კომპანიების შეძენიდან		(6 631 383)
სულ სრული შემოსავალი		(6 690 117)

*ჯგუფის შექმნის თარიღია 08.08.2024 და წარდგენილი სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება მოიცავს შესაბამის პერიოდს


 დირექტორი
 30 სექტემბერი 2025


შპს აგროლაინი
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	31.12.2024
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივი		
ძირითადი საშუალებები	7	10 314 177
ბიოლოგიური აქტივი		878 826
სულ გრძელვადიან აქტივები		11 193 003
მიმდინარე აქტივები		
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	8	1 123 775
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	9	1 004 610
საგადასახადო აქტივი		90 426
ფული და ფულის ექვივალენტები	10	1 348 748
სულ მიმდინარე აქტივები		3 567 558
სულ აქტივები		14 760 561
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი		2 392 109
გაუნაწილებელი მოგება		(14 251 408)
სულ კაპიტალი		(11 859 299)
ვალდებულებები		
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	11	16 599 538
საიჯარო ვალდებულებები		1 235 192
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		17 834 730
მიმდინარე ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება		2 090 027
საგადასახადო ვალდებულება		52 026
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	11	6 643 076
სულ მიმდინარე ვალდებულებები		8 785 129
სულ ვალდებულებები		26 619 859
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		14 760 561


 დირექტორი
 30 სექტემბერი 2025



შპს აგროლაინი
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

	2024
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	
მოგება დაბეგვრამდე	(58 734)
კორექტირება:	
ზარალი შვილობილი კომპანიების შეძენიდან	(6 631 383)
მაკონტროლებელი საწარმოს ზარალის წილი	(7 561 291)
ძირითადი საშუალებების ცვეთა	838 466
საპროცენტო შემოსავალი	(7 034)
საპროცენტო ხარჯი	1 457 343
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებიდან	(17 109)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე	(11 979 742)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებაში	(1 009 138)
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	(1 123 775)
ცვლილებები გადასახადებში	(38 399)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებაში	2 090 883
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში	(12 060 171)
გადახდილი პროცენტები	(1 457 343)
მიღებული პროცენტები	7 034
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(13 510 480)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	
ძირითადი საშუალებების მიღება	(10 391 631)
ძირითადი საშუალებების გასვლა	(761 011)
ცვლილებები ბიოლოგიურ აქტივებში	(878 826)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	2 392 109
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(9 639 359)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	
სესხის აღება	24 497 782
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	24 497 782
ფულზე და ფულის ექვივალენტებზე საკურსო სხვაობის ეფექტი	804
ფული და ფულადი ექვივალენტის ნეტო ცვლილება	1 348 748
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში	-
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	1 348 748

დირექტორი
30 სექტემბერი 2025



შპს აგროლაინი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

ძირითადი საქმიანობა

ინფორმაცია გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკაზე

შპს «აგროლაინი» (შემდგომში “ჯგუფი”) დაფუძნდა 2019 წლის 17 დეკემბერს, მარეგისტრირებული ორგანო არის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვერიკო ანჯაფარიძის ქუჩა N3.

კომპანიის დამფუძნებლებია:
თენგიზ კორინთელი - 60%
ანნა რურუა - 20%
გიორგი მესხიძე - 20%

ჯგუფის დირექტორი - თენგიზ კორინთელი

ჯგუფის ძირითადი საქმიანობა წარმოადგენს კაკლის გადამამუშავებელი საწარმოს ფუნქციონირება, კაკლის გადამამუშავება და დაფასოება. კაკლის ბაღების გაშენება და მოვლა. კომპანიის მდებარეობს საგარეჯოს რაიონ სოფელ ჩუმლაყში. კომპანიამ 2024 წლის 8 აგვისტოს შეისყიდა ოთხი კომპანიის 100 პროცენტიანი წილი, რის შემდგომაც ის გახდა მშობელი საწარმო.

საანგარიშო წლის ბოლოს ჯგუფის შვილობილი საწარმოები რომელშიც ის ფლობს 100 პროცენტთან წილს არის შემდეგი:

შპს აგროპროდუქტი
შპს ინტერაგრო
შპს ქართული კაკალი
შპს ტერა

მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (მსს ფასს-ები) შესაბამისად.

- აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.
- ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.
- თანხები მრგვალდება უახლოეს ლარამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.
- ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდია 08.08.2024-დან 31.12.2024 მდე ვინაიდან ამ პერიოდში განახორციელა შვილობილი საწარმოების შესყიდვა.

მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

ქვემოთ წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ცალკეული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაში. აღნიშნული პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოაშუადა, ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ამ საკითხის განსჯისას ხელმძღვანელობამ განიხილა ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა, ამჟამინდელი განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა, ასევე გაანალიზა ჯგუფის საქმიანობაზე მაკროეკონომიკური მოვლენების გავლენა. ხელმძღვანელობამ მიმოიხილა როგორ ბაზრის და ბიზნესის რისკი. აღნიშნული ანალიზის საფუძველზე კომპანიას არ აქვს მოლოდინი ისეთი მნიშვნელოვანი რისკების, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ჯგუფის ფუნქციონირებადობაზე,

გამოყენებული საადრიცხო პოლიტიკა

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში. ფული და ფულადი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით

31 დეკემბერი 2024

ლარი/1 აშშ დოლარი	2.8068
ლარი/1 ევრო	2.9306

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შპს „აგროლაინის“-ს და მისი შვილობილი საწარმოების, შპს „აგროპროდუქტი“-ს, შპს „ინტეაგრო“, შპს „ქართული კაკალი“-ს და შპს „ტერა“-ს ფინანსურ ანგარიშგებებს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც კომპანია კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც კომპანია იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც კომპანიის კონტროლი შვილობილ კომპანიაზე წყდება.

კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც კომპანიას:

- აქვს გავლენა ინვესტიციის ობიექტზე;
- იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება; და
- შეუძლია თავისი გავლენის გამოყენება უკუგებაზე ზემოქმედებისთვის

ჯგუფი ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის ზემოაღნიშნული სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი.

როდესაც ჯგუფი ინვესტიციის ობიექტში უმრავლესობაზე ნაკლებ ხმებს ფლობს, მას გავლენა ექნება ინვესტიციის ობიექტზე, თუ ხმის უფლება საკმარისია, რომ მას ჰქონდეს პრაქტიკული უნარი ერთპიროვნულად წარმართოს ინვესტიციის ობიექტის შესაბამისი საქმიანობა. იმის შეფასებისას, კომპანიის ხმის უფლება საკმარისია თუ არა ინვესტიციის ობიექტზე გავლენის განსახორციელებლად, კომპანია ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- კომპანიის ხმის უფლებათა რაოდენობა სხვა მფლობელების ხმის უფლებების რაოდენობასთან შედარებით;
- კომპანიის, სხვა მფლობელებისა და სხვა მხარეების პოტენციული ხმის უფლებები;

- სხვა სახელმწიფოებო გარიგებებიდან წარმომდგარი უფლებები; და

- ნებისმიერი დამატებითი ფაქტი ან გარემოება, რომელიც მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანიას ამჟამად აქვს, ან არ აქვს უნარი, მართოს შესაბამისი საქმიანობა ისეთ დროს, როდესაც გადაწყვეტილებების მიღებაა საჭირო, მათ შორის ხმის მიცემის გამოცდილება წინა პარტნიორობის კრებებზე.

იმ შემთხვევაში თუ შვილობილი საწარმოს საადრიცხო პოლიტიკა განსხვავდება მფლობელი კომპანიის საადრიცხო პოლიტიკისგან, ხდება შვილობილი საწარმოს ფინანსური ანგარიშგების კორექტირება, რათა მათი საადრიცხო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის პოლიტიკასთან. ჯგუფის კომპონენტებს შორის არსებულ ოპერაციებთან დაკავშირებული ყველა შიდა ჯგუფური მოთხოვნა, ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას სრულად ელიმინირებას.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან, რომელზეც ჯგუფმა გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს ჯგუფის ბალანსზე არ არის იდენტიფიცირებული არსებითი ღირებულების უიმედო ვალები და მიმდინარე მოთხოვნების ვადაგადაცილებული დავალიანება, შესაბამისად მენეჯმენტი არ ახორციელებს მათ დარეზერვებას პერიოდის ბოლოს.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალოდ მარაგების და შესაბამის შემთხვევებში უშუალოდ იმ ზედნაღებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა სასაქონლო-მატერიალური მარაგების მათ თავდაპირველ მდგომარეობაში მოსაყვანად.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. ბალანსზე რიცხვული მარაგები არ წარმოადგენს მალფუჭებად პროდუქციას და არის სწრაფად ბრუნვადი რის გამოც არ არის იდენტიფიცირებული არაბრუნვადი მარაგები. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი ღირებულებით.

ძირითადი საშუალებები

ბალანსზე აღრიცხული ძირითადი საშუალებები მოცემულია ისტორიული ღირებულებით მინუს ცვეთა, რომელიც მოიცავს აღნიშნული აქტივების ღირებულებას და იმ ზედნაღებ დანახარჯებს, რომელიც გაწეული იყო მათ საექსპლუატაციოდ.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს ამოსაღებ თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის რეალური ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, და აქტივის გამოყენების ღირებულება. პერიოდის ბოლოს ბალანსზე რიცხვული ძირითადი საშუალებების საბაზრო ღირებულება არსებითად არ განსხვავდება რეალური საბაზრო ღირებულებისგან და არ საჭიროებს შეფასებას.

პერიოდის ცვეთის ხარჯი

მიწას, ხელოვნების ნიმუშებსა და მიმდინარე მშენებლობას ამორტიზაცია არ ერიცხება. ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, ქვემოთ მოცემული საექსპლუატაციო პერიოდის შესაბამისად

- | | |
|------------------------------|-------------|
| 1. ოფისის აღჭურვილობა | 5 წელი |
| 2. ავეჯი და სხვა ინვენტარი | 5 წელი |
| 3. სატრანსპორტო საშუალებები | 5 – 10 წელი |
| 4. სხვა ძირითადი საშუალებები | 5 წელი |

სავაჭრო ვალდებულებები და მომწოდებლისთვის გადახდილი ავანსები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს ჯგუფის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოუქვითავია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილი ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

საანგარიშო პერიოდის ბოლოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია პერიოდის ბოლოს არსებული ვალდებულებები მომწოდებლების წინაშე, მათზე გადახდილი ავანსები, სახელფასო ვალდებულებები და სხვა მიმდინარე გადახდები.

მიმდინარე სასესხო ვალდებულებები

ჯგუფის სასესხო ვალდებულებები მოიცავს საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებულ ვალდებულებებს ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში. ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული სესხები კლასიფიცირებულია ვადიანობის მიხედვით. სესხის ძირითადი ნაწილი შედგება საკრედიტო ინსტიტუტებისგან მიღებული საკრედიტო ხაზისგან, რომლის მიღებაც და გადახდაც ხორციელდება ლიმიტის ფარგლებში ათვისებული თანხების პროპორციულად.

საწესდებო კაპიტალი

ჯგუფის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება ჯგუფის წესების მიერ. ცვლილებები ჯგუფის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ ჯგუფის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ.

მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

საქართველოს საგადასახადო სისტემაში შესული ცვლილებების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების წარმოქმნა.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას.

წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლისგანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

ბიოლოგიური აქტივები

ორგანიზაცია ფლობს ბიოლოგიურ აქტივს რომლის ღირებულებაც ანგარიშგებაში ასახულია თვითღირებულების მეთოდის გამოყენებით. ამ აქტივის ღირებულება მოიცავს მის მოყვანაზე გაწეულ დანახარჯებს. მოცემულ აქტივზე პერიოდის ბოლოს საბაზრო ღირებულების დადგენა არის შეუძლებელი ვინაიდან საანგარიშო პერიოდის ბოლოს ნათესებს არ აქვს დაწყებული მოსავლიანობა და მისი შეფასება არ იძლევა საკმარის რწმუნებას, რის გამოც საადრიცხო პოლიტიკა ითვალისწინებს თვითღირებულების მოდელს რა დროსაც ხორციელდება ყველა გაწეული ხარჯის დაკავშირებით და შემდგომ მიღებული მოსავლით მისი კორექტირება პერიოდის არა საოპერაციო შემოსავლად ან ხარჯად.

დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე.

საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების ნეტო საფუძველზე წარმოდგენა

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის წმინდა დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშების დანერგვით. შესაბამისად, კომპანია ყველა საგადასახადო კრედიტორულ ვალდებულებებთან ან დებიტორულ დავალიანებებთან დაკავშირებულ აქტივებს და ვალდებულებებს წარადგენს თითოეული საწარმოს მიხედვით, წმინდა საფუძველზე.

შემოსავალი რეალიზაციიდან და გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება

შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება მოსალოდნელი ფასდათმობის და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე.

პერიოდის თვითღირებულების ხარჯი მოიცავს ჩამოწერილ მარაგების თვითღირებულებას და მის გაყიდვაზე გაწეულ პირდაპირ დანახარჯებს.

ხარჯები

საწარმო ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ. საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯების ძირითადი ნაწილი მოიცავს ხელფასის, ცვეთის და სხვა ადმინისტრაციულ ხარჯს, რომელშიც გაერთიანებულია საოპერაციო საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები. ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება ჯგუფის თანამშრომლების მიერ.

პერსონალის შენახვისა და პერსონალთან დაკავშირებული სხვა ხარჯები

ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება ჯგუფის თანამშრომლების მიერ.

ხელფასის ხარჯი მოიცავს, როგორც ფიქსირებულ ასევე გამომუშავებულ ანაზღაურებას რომლის კალკულაციაც ხორციელდება ყოველი საანგარიშო თვის ბოლოს.

შენიშვნა 3 - შემოსავალი რეალიზაციიდან	2024
შემოსავალი რეალიზაციიდან	3 602 374
შემოსავალი ექსპორტიდან	652 462
სხვა შემოსავალი	9 967
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	4 264 803

შენიშვნა 4 - გაყიდული საქონლის თვითღირებულება	2024
ძირითადი და დამხმარე მასალების თვითღირებულების ხარჯი	46 481
კომუნალური ხარჯები საწარმოსთვის	98 282
პირდაპირი ხელფასის ხარჯები	271 815
აგრო კონსულტაციის ხარჯები	36 662
საიჯარო ხარჯები	464 336
ნიადაგის დამუშავების ხარჯები	-
რემონტის ხარჯები	11 453
თვითღირებულების სხვა ხარჯები	9 854
სულ გაყიდული საქონლის თვითღირებულება	938 882

შენიშვნა 5 - საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2024
სახელფასო ხარჯები	1 272 208
მივლინების ხარჯები	20 846
კომუნიკაციის ხარჯები	2 714
ტექნიკის მიმდინარე ხარჯები	9 755
მომსახურების ხარჯები	128 958
ცვეთა და ამორტიზაცია	838 512
საგადასახადო ხარჯები	47 324
სხვა ხარჯები	13 289
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2 333 605

შენიშვნა 6 - ფინანსური ხარჯი	2024
საპროცენტო ხარჯი	1 007 092
წმინდა ზარალი გადაფასებიდან	12 171
სულ ფინანსური ხარჯი	1 019 263

შენიშვნა 7 - ძირითადი საშუალებები

	მიწა	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა და ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
თვითღირებულება	-	-	-	-	-	-	-
ცვეთა	-	-	-	-	-	-	-
ბალანსი 12/31/2023	-	-	-	-	-	-	-
საწყისი თვითღირებულება	1 743 980	853 056	3 590 911	5 115 028	1 295 283	10 936	12 609 193
დანამატები	-	16 367	-	727 722	15 602	1 366	761 058
აქტივის ჩამოწერა	-	-	-	-	(46)	-	(46)
აკუმულირებული ცვეთა	-	-	(487 064)	(1 120 103)	(610 395)	-	(2 217 562)
პერიოდის ცვეთა	-	-	(172 413)	(469 489)	(195 896)	(667)	(838 466)
ბალანსი 12/31/2024	1 743 980	869 424	2 931 433	4 253 158	504 547	11 634	10 314 177

*ჯგუფი შექმნილია 2024 წლის 8 აგვისტოს რის გამოც არ გააჩნია ძირითადი საშუალებების საწყისი ღირებულება

შენიშვნა 8 - სასაქონლო მატერიალური მარაგები	31.12.2024
დაუმთავრებელი წარმოება	765 742
სხვა მარაგები	358 033
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	1 123 775

შენიშვნა 9 - სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	31.12.2024
სავაჭრო მოთხოვნები	25 609
გადახდილი ავანსები	979 001
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	1 004 610

შენიშვნა 10 - ფული და ფულის ექვივალენტები	31.12.2024
ნაღდი ფული სალაროში	116 150
ეროვნული ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	675 308
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	557 289
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	1 348 747

შენიშვნა 11 - სასესხო ვალდებულებები	31.12.2024
მიღებული სესხები - მიმდინარე ნაწილი	6 640 732
მიღებული სესხები - გრძელვადიანი ნაწილი	16 599 538
გადასახდელი პროცენტები	2 344
სულ სასესხო ვალდებულებები	23 242 613

შენიშვნა 12 - სასესხო ვალდებულებები	31.12.2024
სავაჭრო ვალდებულებები	1 243 701
ანგარიშვალდებულ პირზე გაცემული თანხები	40 631
მიღებული ავანსები	805 695
სულ სასესხო ვალდებულებები	2 090 027

სასამართლო დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში კომპანიის მიმართ მიმდინარეობს სასამართლო დავები და საჩივრები. საანგარიშო პერიოდის ბოლოს ისეთი ტიპის დავები რომელმაც შესაძლოა რომ გავლენა მოახდინოს კომპანიის ფინანსურ შედეგებზე იდენტიფიცირებული არ არის.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, განსაზღვრულია ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში #24 დაკავშირებული მხარეების წარდგენა, და წარმოადგენენ:

(ა) კომპანიები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებენ ორგანიზაციას, კონტროლდებიან მის მიერ ან ორგანიზაციასთან ერთად ექვემდებარებიან საერთო კონტროლს (მათ შორის, ჰოლდინგური კომპანიები, შვილობილი საწარმოები და ერთი ძირითადი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები);

(ბ) მეკავშირე საწარმოები, რომელთა საქმიანობაზე ორგანიზაციას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა და რომლებიც არ წარმოადგენენ ინვესტორის არც შვილობილ და არც ერთობლივ კომპანიას;

(გ) ერთობლივი საწარმო, სადაც ორგანიზაცია არის დამფუძნებელი;

(დ) ორგანიზაციის, ან დამფუძნებელი კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა;

(ე) (ა) და (ბ) პუნქტებში აღნიშნული პირების უშუალო ოჯახის წევრები; საწარმოები, რომელთა ხმის უფლების მქონე აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი, პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილი არიან დ) და ე) პუნქტებში ან პირები, რომლებზეც შეუძლიათ იქონიონ მნიშვნელოვანი გავლენა.

თითოეული დაკავშირებული მხარის განხილვისას, ყურადღება ეთმობა კავშირის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. ორგანიზაციას და მის მეკავშირე კომპანიებს შორის განხორციელებული ტრანზაქციები, რომლებიც ასევე წარმოადგენენ ორგანიზაციის დაკავშირებულ მხარეებს, შემცირებას დაექვემდებარა ამ კომპანიებში ორგანიზაციის წილის ოდენობით.

საანგარიშო პერიოდში დაკავშირებულ მხარეზე განხორციელებული ოპერაციები მოიცავს წამყვან მენეჯმენტზე გაცემულ ხელფასს, რომლის ღირებულებაც 2024 წელს შეადგენდა 687,073 ლარს, ხოლო 2023 წელს 119,791 ლარს.

ბალანსის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შემდგომ პერიოდში ჯგუფმა შეისყიდა კიდევ ერთი შვილობილი საწარმო, რომლის საქმიანობაც ასევე მოიცავს სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოპოვებას და რეალიზაციას.